ცნობის ფურცელი

№ 2533 ოთხშაბათი, 23 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2533

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М.амбе“. ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 24 ივნისს, კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულისა

იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი ეკატერინე სვიმონის ასული და მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ (2—1)

პარასკევს, 25 ივნისს, ს. პერევისაში წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სასაფლაოზე განსვენებულის

იულია ალექსის ასულის ჭიჭინაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ქმარი, კალისტრატე კონსტანტინეს-ძე ჭიჭინაძე და მშობლები ალექსი ოქროპირის-ძე და ვასასი მიხეილის ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

САБАБРИКО
საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—131)

რედაქციისაგან.

გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მ.— კ.
1-ლ ივლისიდან „ „ „ 3 მ. 50 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ზ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყოროღანოვის ქ., № 16, სახლთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმის
ი. პ. ახალშენიშვილის
კაბინეტში 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. (5—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივნისი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება პეტერბურგისა და ზოგიერთ სხვა სამხედრო ოლქის ჯარების საომარ წესზე დაყენების შესახებ. დამატება: „უნდა გაწვეულ იქმნან სამსახურში, არსებულ სამობილიზაციო წესრიგის თანახმად, საჭირო რიცხვი სათადარიგო ჯარის კაცთა პეტერბურგის სამხედრო ოლქის შემდეგ მაზრებიდან: ნოვოლადოგისა, შლისელბურგისა და იამბურგიდან; ესტლიანდიის გუბერნიის: რეველისა და ვეზენბერგის მაზრებიდან; ლიფლიანდიის გუბერნიის: იურიევის მაზრიდან; პსკოვის გობერნიის: ოსტროვსკის, პორხოვსკის და ხოლმის მაზრებიდან; ნოვგოროდის გუბერნიის: ნოვგოროდის, ბოროვიჩის, ბელოზერის, ვალდაის, დემიანსკის, კირილოვის, კრესტეცის, სტარორუსის, ტიხვინის, უსტიუჟისა და ჩერეპოვეცის მაზრებიდან; ტვერის გუბერნიის: ბეჟეცკის, ვიშნევოლოდსკისა და კაშინის მაზრებიდან; მოსკოვის გუბერნიის: პოდოლსკის მაზრიდან; ტულის გუბერნიის: ეფრემოვისა და კაშირის მაზრებიდან. ზოგიერთ ზემოხსენებულ მაზრებიდან, აგრეთვე მოსკოვის გუბერნიის კლინისა და ვერეისკის მაზრებსა, ორიოლის გუბერნიის მალო-არხანგელსკის მაზრასა, პენზის გუბერნიის ნოროჩატის მაზრასა და კურსკის გუბერნიის სუჯანსკის მაზრიდან უნდა გაყვანილ იქმნას, სამხედრო ბევრის თანახმად, ცხენების საჭირო რიცხვი. სამობილიზაციო წეს-რიგის თანახმად გაწვეულ უნდა იქმნან აგრეთვე ზოგიერთ ხარისხის სათადარიგო ჯარის-კაცნი შემდეგ გუბერნიებიდან: მოსკოვის, ვლადიმირის, ნიჟეგოროდის, ტვერის, ყაზანის, პერმის, ვიატკის, სიმბირსკის, კიევისა და პოლტავის გუბ. უნდა გაწვეულ იქმნან სამსახურში რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სათადარიგო ჯარის აფიცრები, რომელთაც, არსებულ წეს-რიგის დაგვარად, უნდა შეავსონ სამხედრო წეს-რიგზე დაყენებულ ჯარის რიცხვი. აგრეთვე, საჭიროებისა დაგვარად, უნდა გაწვეულ იქმნან სათადარიგო ჯარის-კაცნი აფიცრებისა და საკლასო თანამდებობათა ასასრულებლად.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). იაპონელთა უმთავრესი გაზეთი ტოკიოში თუმცა ნდობას აცხადებს გერმანიის ნეიტრალიტეტის გამო, მაგრამ მაინც ამბობს, რომ შეიძლება გერმანიამ ნება მისცეს რუსის ესკადრას, კიაოჩაოში თავი შეაფაროსო. თუ გერმანია ასე მოიქცევა, იაპონია, სამწუხაროდ, იძულებული გახდება იგი რუსეთის მოკავშირედ ჩასთვალოს და თვითონ ინგლის-იაპონიის კავშირის დახმარებას მიჰმართოსო.

ხარბინი. მოვიდა ათონიდან იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის წინამძღვარი კონსტანტინე, რომელსაც ახლავს 10 მოწყალების ბერი. მომქმედ ჯარში ამ ცოტა-ხანში 120 ბერს კიდევ მოელიან.

22 ივნისი

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 20 ივნისს: „19 ივნისს გამოირკვა, რომ გაიჩოუს მხარეს მტრის მოწინავე რაზმები სამხრეთისაკენ დაწეულიყვნენ და დამდგარიყვნენ სენიუჩენიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 14 ვერსის მანძილზე. სენიუჩენის სადგური უჭირავს ქვეითა ჯარის რაზმს. ქალაქ სენიუჩენის მიდამოებში იაპონელთა ერთ დივიზიამდეა. სიუიანის მიდამოებში იაპონელთ 50,000 კაცამდე ჰყავთ. დალინის უღელტეხილზე იაპონელთ ის ადგილები უჭირავთ, რაც წინად ეჭირათ. იმათი ჯარი წინ, ხაიჩენისკენ, არ მიიწევს“.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: რუსეთისა და ინგლისის მთავრობებს მოლაპარაკება ჰქონდათ ბერინგის ზღვაში ამ ომის დროს ზღვის კატის სამრეწველოების დაცვის შესახებ. ამ ადგილებში რუსებს კრეისერები არა ჰყავთ. რუსეთის განცხადების საპასუხოდ, ინგლისმა წინადადება მისცა, რუსეთმა ომის დროს სამრეწველოების დაცვა ინგლისის გემებს მიანდო. რუსეთის მთავრობამ მიიღო ეს სამეგობრო წინადადება და ბერინგის ზღვაში მყოფ ინგლისის გემებს ნება მისცა, ისარგებლონ იმ ქვა-ნახშირის ნახევრით, რომელიც პეტროპავლოვსკში ინახება.

ლიაოიანი. („რეიტ. სააგენტო“). გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ხაიჩენიდან დაბრუნდა, რადგან წვიმები ხელს უშლის სამხედრო მოქმედებას. ნაადრევია ის ცნობა, ვითომ რუსებს ხელ-ახლა აეღოთ დალნის უღელტეხილი. არც რუსთა და არც იაპონელთა საკმაო ჯარს არ შეუძლიან უღელტეხილამდე მისვლა, რომ დაიჭიროს იგი. გაუვალი ტალახი შეუძლებელსა ჰყოფს ზარბაზნებისა და სასურსათე ურმების ზიდვას. მოწინაღმდეგეთა ჯარები უღელტეხილის იქით-აქედანა სდგანან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება, იაპონელებმა პორტ-არტურს ახლო ჩიკვანი დაიჭირეს. დალნის ნავთ-სადგური ნაღმებისაგან თითქმის მთლად გასწმინდეს.

„დეილი ქრონიკლ“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: მდინარე ჩუანხეს ჩრდილოეთით იაპონელთა მოწინავე რაზმებსა და პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს მუდამ შეტაკება მოსდითო. („რ. ს.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: პორტ-არტურიდან მოსულმა ევროპიელებმა ჩიფუში ილაპარაკეს, პორტ-არტურში ბევრი საკვები სურსათი აქვთ რუსებსაო. („რ.ლ.“).

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: 11 ივნისს გენ სტესელი პორტ-არტურიდან 7 ათასის კაცით გავიდა და იაპონელებს დაეცა, მაგრამ იაპონელებმა უკუაგდესო. პორტ-არტური დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილიო; პურისა და ბრინჯის გარდა, სხვა სურსათი აღარ დარჩათო. გენ. ოკუმ კაცი გაუგზავნა გენ. სტესელს, მთელის მეციხოვნე ჯარით დამნებდითო.

„ნ. ფრ. პრესე“ იუწყება: პორტ-არტურში რუსები ცხენის ხორცსა სჭამენ, ჩინელები კატისასაო. („ნ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ტოკიოში ყველანი აღელვებულნი არიან იმაზე, რომ რუსები არაფერ ცნობას არ იძლევიან ტყვე იაპონელების ბედზე. აქ ტოკიოში-კი ყოველ დღე ცნობებს ჰბეჭდავენ რუსის ტყვეებზე და შეერთებულ შტატების ელჩის შემწეობით რუსეთის მთავრობას ატყობინებენ. ყველაზე მეტად იაპონელებს მაიორ ტოგოს ბედი აფიქრებთ; ტოკიოში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს აფიცერი მოსკოვში გაგზავნეს რუსებმაო. ძლიერ ეცადნენ, მაგრამ ამ აფიცერზე ვერაფერი ცნობა ვერ მიიღესო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ი იუწყება: იაპონელებს არისოკის ზარბაზნებს გარდა, ამერიკელ ორლან კელენის ზარბაზნებიც აქვთ. ეს ზარბაზნები უფრო სწრაფად ისვრიან და ამათი ყუმბარა უფრო ძლიერად მოქმედებს. ამ ჟამად იაპონელებს 30 ექვს გირვანქიანი ზარბაზანი აქვთ ამნაირი და 1 ოთხგირვანქიანი, მაგრამ კელენის ქარხნები დღე და ღამ მუშაობენ და პირობის ძალით იაპონელებისათვის ამ ზარბაზნებს ამზადებენო.

იაპონური გაზ. „ჟ-ჟი-შიმპო“ სწერს: 16 აპრილს, ტიურენჩენთან ბრძოლის წინა დღეს უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებმა იაპონელების პოზიციები დაათვალიერეს. ერთი ფრანგი კორესპონდენტი ერთ ამერიკელ კორესპონდენტს 500 მანეთზე დაენაძლევა, იაპონელები იალუზე გადასვლას ვერ მოახერხებენო. ბრძოლის შემდეგ, 19 აპრილს ფრანგმა კორესპონდენტმა 500 მანეთი დაუთვალა ამერიკელ კორესპონდენტს. (რ.ლ.).

იაპონურ გაზეთებში ყველა ბრძოლის დროს მოკლულ და დაჭრილ აფიცრებისა და ჯარის კაცების სახელი და გვარი იბეჭდება. ყოველ დაჭრილ ჯარის კაცზედ-კი დაწვრილებით სწერია, რა ადგილასაა დაჭრილი და იმის მორჩენის იმედი არის თუ არა. („რ.“).

კაპშტადტიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი მეილ“-ს: 27 მაისს ნოლოტის პორტიდან 50 მილის მანძილზე გემი „ლაპორტი“ დაიღუპა. ეს გემი 29 მაისს გავიდა კარდიფიდან და შორეულ-აღმოსავლეთს ქვანახშირი წაიღო. ქვა-ნახშირი რუსეთის მთავრობას ეკუთვნოდა. ვერავინ ვერ გაიგო, რისაგან დაიღუპა ეს გემი. გემის მეზღვაურები ყველანი გადარჩნენ. („ნ. ვ.“).

ფლოტის ბრძოლა 10 ივნისს. გაზეთებში მეტად მოკლე ცნობები იბეჭდება ამ საინტერესო ბრძოლაზე. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, ადმირალმა ტოგომ მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბს: 10 ივნისს, ხუთშაბათს, რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან გამოვიდა და სამხრეთისაკენ გაემართა, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ იფიქრა, იაპონიის ფლოტმა გზა არ მომიჭრასო, ისევ უკან გაბრუნდა და ციხის ბატარეებს შეეფარა; გარშემო ნაღმიან გემები დაიყენა სადარაჯოდ. საღამოს 9 საათ. 30 წამზე ჩვენი ნაღმიანი გემები რუსის ნაღმიან გემებს დაეცნენ, მაგრამ ვერ გავიგეთ, რა ზარალი მოუვიდა მტერს. წყალი დაკლებული იყო, მტრის ესკადრა ნავთსადგურში ვერ შევიდა და ზღვის ნაპირას გარე რეიდზე დადგა, წინ-და-წინ კი ეს ადგილი გასინჯა, ნაღმები ხომ არსად აწყვიაო. მალე, ღამის 3 საათის შემდეგ მთვარე ჩავიდა; ჩვენს ნაღმიან გემებისა და კონტრ-ნაღმიან გემების ფლოტილიები ჩუმად რიგ-რიგად მტრის გემებისაკენ წავიდნენ, თითო-თითოდ მიდიოდნენ; ნაღმებს ისროდნენ და ჰშორდებოდნენ. მტერი პროჟექტორებით ანათებდა ზღვას და ზარბაზანს ესროდა; სანაპირო ციხის ბატარეები-კი ვერ მოიხმარა.

მეორე დღეს ადმირალმა ტოგომ შემდეგი დეპეშა გაგზავნა ტოკიოში: „10 ივნისს ჩემმა შეერთებულმა ფლოტმა პორტ-არტურთან იერიში მიიტანა მტერზე. მოდარაჯე გემმა დილით ადრე უმავთულო ტელეგრაფით შემატყობინა. მტრის ჯავშნიანი გემები „პერესვეტი“-, „პოლტავა“ და „სევასტოპოლი“ და კრეისრები „ბაიანი“, „პალადა“, „დიანა“, „ასკოლდი“ და „ნოვიკი“ ნავთსადგურიდან გამოდიანო; წინ სხვა გემები გამოვიდ-

ნენ და ნაღმები ამოიღეს. წინადვე ბრძანება მქონდა გაცემული, სად შეკრებულიყო და როგორ მოქცეულიყო ჩვენი ფლოტი, თუ ვინიცობაა, რუსის ესკადრა ნავთ-სადგურიდან გამოვიდოდა. ამ განკარგულების თანახმად, მაშინვე დანიშნულ ადგილას წავედ; ამავე დროს კონტრ ნაღმიან გემების მე-4 და მე-14 ფლოტილია მტრის დასაზვერავად გავგზავნე. ასე ნაშუადღევის 3 საათზე მე-4 და მე-14 ფლოტილიებმა მტრის კონტრ-ნაღმიან გემებზე იერიში მიიტანეს. ერთი რუსის გემი ისევ ნავთსადგურში დაბრუნდა; ამის შემდეგ „ნოვიკი“ გამოვიდა, უმთავრეს ესკადრას შეუერთდა და ისეთ პოზიციაზე დადგა, რომ მტრის ნაღმიან გემებისათვის დახმარება გაეწია, მაგრამ „ნოვიკი“ დიდხანს არ გაჩერდა ამ პოზიციაზე; რამწამს გემებმა გარე რეიდი ნაღმებისაგან გასწმინდეს, „ნოვიკი“ გაშლილ ზღვაში გამოვიდა. ჩვენი მესამე ესკადრა მტერს თვალს არ აშორებდა და სულ იმის ცდაში იყო, რომ რუსის ესკადრა სამხრეთისაკენ, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეტყუებინა; ამ დროს ჩვენი პირველი ესკადრა თავის კონტრ-ნაღმიან გემებით კუნძულ გუგანის სამხრეთით იდგა დამალული და მტერს ელოდებოდა. საღამოს 5 ს. 15 წ. ჩვენმა პირველმა ესკადრამ კუნძულ გუგანიდან 8 მილის მანძილზე მტრის ესკადრა დაინახა. წინ „ცესარევიჩი“ მოუძღოდა ესკადრას, მარჯვენა მხარეს „ნოვიკი“ და კონტრ-ნაღმიანი გემები მისდევდნენ. საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე მტერს 14 ათას მეტრის მანძილზე მივუახლოვდით. მტერი სხვა გზას დაადგა; ჩვენ უკან გავყევით; გვინდოდა, რომ იმის მოწინავე რაზმს შევბრძოლებოდით. საღამოს 8 საათზე მტერი ჩრდილოეთისაკენ გაბრუნდა. მაშინვე ნაღმიან გემების ფლოტილიას ვუბძანე, რომ იერიშის მისატანად მომზადებულიყო. 9 ს. 30 წ., როცა პორტ-არტურს 5 მილის მანძილზე მივუახლოვდით, ჩვენმა მე-14 ფლოტილიამ ზარბაზანი დაუშინა მტრის ნაღმიან გემებს; მე-14 ფლოტილიას მე-5 ფლოტილიაც მიჰყვა. მტერმა ნავთ-სადგურში შესვლა ვერ მოახერხა და ღამის 10 ს. 30 წ. გარე რეიდზე გაჩერდა. მზის ამოსვლამდე ჩვენმა ნაღმიანმა გემებმა რვაჯერ მიიტანეს იერიში და ნაღმები ესროლეს მტრის დიდ გემებს. რა ზარალი მოუვიდა მტერს, გათენებამდე ვერ გავიგეთ“.

ამის შემდეგ ადმირალმა ტოგომ კიდევ გაგზავნი დეპეშა ტოკიოში; მგონია, ჩვენმა ნაღმიანმა გემებმა ერთი მტრის ჯავშნიანი გემი ჩაძირეს და ერთი ჯავშნიანი გემი და ერთი კრეისერი დააზიანესო („ბ. ვ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება; ჩიფუში პორტ-არტურიდან 50 ევროპიელი მოვიდა. ესენი ამბობენ, პორტ-არტურიდან 10 ივნისს ჯერ გოლუბინაია ბუხტაში მივედით და 15 ივნისს ჩიფუში წამოვედითო. 10 ივნისს ბრძოლის დროს პორტ-არტურთან რუსის ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლ“-ი ცოტათი დაზიანდა, სანაღმე ტრანსპორტი „ამური“-კი ძლიერ დაზიანდაო. („რ. ს.“)

ტყვე რუსები იაპონიაში. ინგლისელი კორესპონდენტები ერთხმად ჰმოწმობენ, იაპონელები კარგად ექცევიან ტყვე რუსებსაო. კორესპონდენტები სწერენ: ტიურენჩენთან ბრძოლის შემდეგ 18 აპრილს ღამეს, გენ. კუროკი თავის შტაბით გარედ ეზოში, ცეცხლთან პირას იჯდა. ცივი ღამე იყო და ეზოში რამდენსამე ადგილას ცეცხლი ენთო. ამ დროს ჯარის-კაცებმა ხუთი ტყვე რუსის აფიცერი მოიყვანეს. გენ. კუროკი და სხვა იაპონელი აფიცრები ყველანი ფეხზე წამოუდგნენ, სამხედრო სალამი მისცეს და ცეცხლთან დასხეს. მერე ღვინო და სიგარები უთავაზეს. ტყვეები და გამარჯვებულები სიგარებს ეწეოდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ, თითქო თავის დღეში ერთმანეთთან არ უომნიათო. („ნ.“).

მე-12 პოლკის პოდპოლკოვნიკი უ. 18 აპრილს ტიურენჩენთან ბრძოლის დროს იაპონელებმა დასჭრეს და დაატყვევეს. 20 აპრილს, ესე იგი ბრძოლის შემდეგ მეორე დღეს პოდპოლკოვნიკს უ—ს შახეზლიდან (ანდჟუნიდან) წერილი გამოუგზავნია თავის მეუღლისათვის პეტერბურგში. პოდპოლკოვნიკი უ. სწერს: „ტიურენჩენთან საზარელი ბრძოლა მოხდა. მარჯვენა ფეხში დამჭრეს, ჩვენ ჯარს ვეღარ გავყევ და იაპონელებს ტყვედ ჩაუვარდი ხელში. ბრძოლას დაწვრილებით ვერ აგიწერ, ადვილად მიჰხვდები რა მიზეზითაც. ჩვენ მე-12 პოლკის აფიცრებში მხოლოდ ნახევარი ძლივს გადარჩა ცოცხალი. 6 აფიცერი ჩემსავით ტყვედ არიან. ამათგან 5 დაჭრილია რა მოუვიდათ სხვებს, დღემდე ვერ გავიგე. ეხლა ველით, რომ გემი მოვიდეს და იაპონიაში წაგვიყვანოს. მე ტანისამოსს გარდა თან არა მაქვს-რა. ჯანითაც და ზნეობრივადაც ისე დავიღალე, რომ სულ ლოგინში ვწევარ. იაპონელები მშვენივრად გვექცევიან. რამდენადაც-კი შეიძლება მაძღრები ვართ და კარგ ოთახებში ვდგევართ. რასაკვირველია, კომფორტი გვაკლია, მაგრამ ბივუაკებზე და პოზიციებზე უკეთეს ყოფაში როდი ვიყავით“. („რ. ს.“).

იაპონური გაზ. „ასახ“-ი სწერს: პირველად რუსის ტყვეები გემმა „კოლომბომარუმ“ მოიყვანა იაპონიაში; ტყვეები მაშინვე ტაკოიამის დიდ სამხედრო საავადმყოფოში გაიგზავნენ. პირველად 16 აფიცერი (ამათგან 9 დაჭრილია) და 436 სალდათი (ამათგან 285 დაჭრილია) მოიყვანეს. მერე კიდევ 800 ტყვე რუსი მოიყვანეს; ამათგან 170 დაჭრილი იყო. ეს დაჭრილები ბრძოლის შემდეგ ახლო მახლო სოფლებსა და ქოხებში უპოვიათ. მთავარი შტაბი ძლიერ ეცადა, რომ ტყვე რუსებს იაპონიაში არაფრის შიში და ფიქრი არა ჰქონოდათ. რუსის აფიცრებს თითონაც არ ეშინოდათ, მაგრამ სალდათებში-კი ბევრი ჰფიქრობდა, რამწამს იაპონიაში მიგვიყვანენ, მაშინვე ყველას მოგვკლავენო. ყველა რუსის აფიცერს მშვენიერი ახალი მუნდირი აცვია, მაგრამ თითონ აფიცრები-კი ძლიერ მოქანცულნი და გამხდრები არიან; ეტყობა, ცუდი ჭამა-სმა ჰქონიათ—ტყვეებში ერთი ექიმიც ურევია. ეს ექიმი ავადმყოფებს სწამლობს. ტყვე რუს აფიცრებში რამდენიმე კაპიტანი და პოლკოვნიკიც ურევია. ერთი აფიცერი 62 წლისაა. რუსის აფიცრები ამბობენ, ტალუზე რუსებს საუკეთესო, ნარჩევი ჯარი ჰყავდათო; ასეთი მედგარი წინააღმდეგობაც ამიტომ გასწიესო. ერთს კაპიტანს ჯიბეში კარანდაშით დაწერილი წიგნი უპოვეს. კაპიტანი სწერდა თავის ნათესავებს: იაპონელებმა იალუზე სამის მიზეზის წყალობით გაიმარჯვესო. პირველი, იაპონიის არტილერიამ აჯობა რუსის არტილერიას; მეორე, რუსის მთავარმა შტაბმა საკმაოდ რიგზე ვერ გაიგო საქმის ვითარება; მესამე, რუსის აფიცრებს თანხმობა და ერთი პირი არა ჰქონდათ. ჩემის სალდათების ორი მესამედი ნაწილი ბრძოლის დროს დაიხოცნენ, დანარჩენთ უკან დავიხიეთო. ეს აფიცერი ფინხუანჩენთან დაუტყვევებიათ იაპონელებს. („რ.“).

იაპონელების პროტესტი. „ვოლფის სააგენტო“ იუწყება: ამ ბოლოს დროს რუსები ხმას ავრცელებენ, ვითომ იაპონიის ჯარი ბრძოლის ველზე დაჭრილ რუსებს ცუდად ექცეოდეს, ჰკლავდეს და სხვ. იაპონიის სამხედრო წრეები ძლიერ აალელა ამ ხმებმა. ტოკიოში ამბობენ, ამ ხმებს განგებ ავრცელებენ, უნდათ, რომ ამ ცილის წამებით ევროპაში სახელი გაგვიტეხონო. ეს სულ ტყუილი ხმებია; პირიქით, ჩვენ მუდამ კარგად ვექცევით და ვუფრთხილდებით დაჭრილ რუსებსაო.

იაპონური პრესაც დიდ პროტესტს აცხადებს ამ ბრალდების წინააღმდეგ. გაზ. „ძიძი“ სწერს: მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ იაპონელი ჯარის კაცი დაჭრილ რუსის სალდათს არას დროს არ მოჰკლავს... ევროპიელები ვერც-კი წარმოიდგენენ, რა კარგ გუნებაზეა ეხლა ჩვენი ჯარი. გამარჯვებით აღფრთოვანებული ჩვენი ჯარი ამაყად ამბობს: „მთელი ქვეყნიერობა ჩვენ გვიცქერის, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ წუნი ვერავინ დაგვდოს, დავუმტკიცოთ ევროპას, რომ ბარბაროსები არა ვართ“. ყველა გენერალი, ყველა აფიცერი, მთელი არმია სულ იმის ცდაშია, რომ ბარბაროსობა არავინ დაგვწამოს. და აი ეხლა ასეთ საზიზღარ ბრალსა სდებენ ჩვენ ჯარს.

იაპონური გაზეთები ერთხმად თხოულობენ, გენერლებმა დაუყოვნებლივ საქმე უნდა გამოიძიონ და დამნაშავენი, იაპონელი იქნება, თუ ჩინელი, სასტიკად დასაჯონო. („ბ. ვ.“).

იაპონიის ელჩმა ფრანგულ გაზ. „ფიგარო“-ში შემდეგი განცხადება დაბეჭდა: „ზოგიერთმა გაზეთმა ცნობები გადმობეჭდა რუსულ გაზეთებიდან, ვითომ იაპონელები ცუდად ექცეოდნენ დაჭრილ რუსებსაო. იაპონელი ელჩი, თავის მთავრობის მინდობილობით, გულის წყრომით პროტესტს აცხადებს ამ საზიზღარ ცილისწამების წინააღმდეგ და გადაჭრით ამტკიცებს, რომ ამნაირი ცნობები ყოველ საფუძველს მოკლებულიაო“. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ 21 ივნისს მოხდა კრება ტფილისის საგუბერნიო **ქალაქის საქმეთა საკრებულოში.** საკრებულომ არ შეიწყნარა ტფილისის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ხორცის ხარისხებად დაყოფისა და ნიხრის მოსპობის შესახებ. საკრებულომ დაამტკიცა საბჭოს მეორე დადგენილება ხორცის დუქნების თანხის გასაძლიერებლად 25,000 მანეთის გადადების შესახებ. ქალაქის საბჭომ ამას წინად 1000 მან. გადასდო საარჩევნო წიგნების შესამზადებლად. საკრებულოს აზრით, ფული ქალაქის კასიდან არ უნდა გადაიდოს, რადგან საარჩევნო წიგნების შესწორება ქალაქის გამგეობის მოხელეთა მოვალეო-

ფელეტონი

დანიელ ჭონქაძის გახსენების გამო

ამას წინად ერთ ქართულ გაზეთში წავიკითხეთ ბ-ნ ნაცნობის წერილი შემდეგის სათაურით: „ერთი მეტად სიმპატიური მხარე ეგნატე ნინოშვილისა“, რომლის შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა.

ჩვენ არ შევეხებით არც ეგნატე ნინოშვილს და არც იმ მიწერ-მოწერის ამბავს, რომელზედაც მოგვითხრობს ბ-ნი ნაცნობი; ვერ შევეხებით ამას მით უფრო, რომ ბ-ნი ნაცნობი თავის ვინაობასაც არ აცხადებს და არც იმ პირს ასახელებს, რომლის ხელშიაც თურმე დღემდის ინახება ერთი მისი წერილი, ნინოშვილთან მის მიერ მიწერილი. თუმც ყოველივე ამის დამალვა სრულებით საჭირო არ იყო, მაგრამ, ალბათ, ეს არა სურს ბ-ნ ნაცნობს და ეს, რასაკვირველია, სრულ მის უფლებას შეადგენს, ასე რომ აქ მას ჩვენ ვერ გამოვედავებით. ხოლო არ შეგვიძლია ასევე მოვიქცეთ ბ-ნ ნაცნობის წერილის იმ ადგილის შესახებ, სადაც დან. ჭონქაძეზე ლაპარაკობს, რადგანაც აქ იგი ჭეშმარიტებას და სინამდვილეს აშკარად ღალატობს. გარემოება ასეთია.

თქვენ, ალბათ, უწყით, რომ ამას წინად, ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ ათი წლის შესრულების გამო, ქართულმა გაზეთებმა აღნიშნეს ზოგიერთ ჩვენი მწერლების გაჭირვებული მდგომარეობა და, სხვათა შორის, დან. ჭონქაძეც დაასახელეს. ბ-ნი ნაცნობი, როგორც ეტყობა, ამის გამო ძლიერ გამწყრალა, რადგანაც, მისი აზრით, დან. ჭონქაძის „მაგალითი აქ ყოვლად შეუსაბამოაო“. პირიქით, ბ-ნი ნაცნობი დაბეჯითებით და გადაჭრით ამტკიცებს, რომ „ჭონქაძეს სრულიად უზრუნველი ცხოვრება ჰქონდაო“.*) ავტორის სიტყვით, ჭონქაძე იყო კარგი შეძლებული მემამულე დუშეთის მაზრისა, სემინარიაში ასწავლიდა ოსურ ენასა, იღებდა საკმარისს ჯამაგირსა, ჰქონდა იქვე სემინარიაში მუქთი სადგური (ავტორს, ალბად, ბინა ანუ სადგომი აქვს მხედველობაში) მოსამსახურეთი და შეშით. იმავე დროს, როგორც გვეუბნება ჩვენი ავტორი, ჭონქაძე, იყო მისული (თუ შესული? ფ. მ.) მაღალ საზოგადოებაში და არაფერს არ იღებდაო“. გარდა ამისა—განაგრძობს ბ-ნი ნაცნობი—ჭონქაძეს „ჰყავდა შეძლებული ნათესავები, რომლებიც სულსაც არ დაიშურებდნენ (?) მისთვის, რადგანაც (იგი) მეტად სიმპატიური ხასიათის ქართველი იყოვო“. (კარგი საბუთია თქვენმა მზემ!). დასასრულ, ბ-ნი ნაცნობი დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ჭონქაძე „უდროოთ გარდაიცვალა არა სიღარიბისაგან (ოღონდაც ამას შემდეგ!), რომელიც მას არც-კი მოსიზრმებია, არამედ სიჭლექისაგან, რომელიც იყო შედეგი მისი ჭლექური აგებულებისაო“. ეს უკანასკნელი ფრაზა: „სიჭლექე, რომელიც იყო შედეგი მისი ჭლექური აგებულებისაო“ — როგორღაც ნამეტანი ძალდატანებულია: სიჭლექე—შედეგი ჭლექური აგებულებისა, — როგორღაც ენას არ ეხამუშება, გარდა იმისა, რომ აქ ყოვლად უაზრობაა. მაგრამ ჩვენ თავი დავანებოთ ფრაზების გარეგან მხარეს და განვიხილოთ მხოლოთ მათი შინაარსი. ბ-ნ ნაცნობის სიტყვებიდან ჩანს, რომ დან. ჭონქაძე ყოფილა კარგი შეძლებული მემამულე და იმავე დროს იგი იღებდა სემინარიაში საკმარისს ჯამაგირს, და გარდა ამისა სემინარიაშივე ჰქონდა მუქთი ბინა მოსამსახურით და შეშით. გგონებ, ეს სრულიად საკმარისი უნდა იყოს ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. მაგრამ გარდა ამისა, დ. ჭონქაძე თურმე დიდათ მიღებული ყოფილა მაშინდელს მაღალ საზოგადოებაში და იმასვე ჰყოლია მდიდარი ნათესავები, რომლებიც თურმე მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ. ერთი სიტყვით, დ. ჭონქაძე პირველი ხარისხის არისტოკრატი ყოფილა! არც მეტი არც ნაკლები. მაგრამ ყოველივე ეს ბ-ნ ნაცნობის ფანტაზიის ნაყოფია. ჩვენ ვიცით ვერ გაგვიგია, თუ რისთვის დასჭირდა მას ასეთი აშკარა ტყუილი. დავიწყოთ იქიდან, რომ დან. ჭონქაძე იყო სოფლის უბრალო მღვდლის შვილი, რომლის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა იმ დროს უფრო ყმების მდგომარეობას უახლოვდებოდა, და არა კარგი შეძლებული მემამულე, ე. ი. მაშინდელის ენით რომ ვთქვათ, შეძლებული მებატონე, რადგანაც იმ დროს მემამულე და მებატონე ერთ და იმავეს ნიშნავდნენ. გასაკვირველია ერთობ, თუ საიდან გამოიყვანა ბ-მა ნაცნობმა, რომ დან. ჭონქაძე შეძლებული მემამულე იყოვო? ეს თუ ასე იყო, მას უეჭველათ ყმებიც ეყოლებოდა, ვინაიდან შეძლებული მემამულეს მაშინ იმას ეძახდნენ, ვისაც ბევრი ყმები ჰყავდა! მაგრამ ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! გარდა ამისა მემამულე ჩვეულებრივ ენაზე იმას ეწოდება, ვინც მამულის შემოსავლით ცხოვრობს. დ. ჭონქაძეს უეჭველია ჰქონდა დუშეთის მაზრაში მცირეოდენი მიწა, მაგრამ იგი იძულებული იყო ცხოვრების სახსარი თავისი საკუთარის შრომით მოეპოვებია. სემინარიაში სწავლის დამთავრებისთანავე იგი დაინიშნა ოსური ენის მასწავლებლათ ჯერ ვლადიკავკავის (1851 წ.) და შემდეგ ტფილისის სემინარიაში (1855 წ.). ბ-ნ ნაცნობის სიტყვით, აქ დ. ჭონქაძე „საკმარისს ჯამაგირს“ იღებდა „მუქთი სადგურით, მოსამსახურეთი და შეშით“. საიდან აქვს ამოღებული მას ეს ცნობა—ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოთ ის, რომ როგორც გვეუბნება ოფიციალური დოკუმენტები, სემინარიაში დან. ჭონქაძე ღებულობდა მხოლოთ 200 მან. წელიწადში, გარდა ამისა იქ არც მუქთი ბინაა დასახელებული და არც მუქთი მოსამსახურე და შეშა. ხოლო თუ რამდენათ საკმარისი ჯამაგირია ცოლიანი კაცისთვის 200 მანეთი, ეს თითონ მკითხველმა განსაჯოს. აშკარაა, რომ ეს მას ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომ იგი იძულებული იყო კიდევ სხვა სამუშაო აეჩინა. აქ მას უშველა ოსური ენის ცოდნამ, რადგანაც ამ დროს სასულიერო მთავრობას ძლიერ ესაჭიროებოდა ამ ენის მცოდნე. ამიტომ დანიელს ნებას მისცეს ადგილი სინოდალურ კანტორის კანცელარიაში, ჯერ უბრალო მოხელეთ და 1859 წლიდან-კი დანიშნეს „სტოლონაჩალნიკათ“. გარდა ამისა იმავე მთავრობის წინადადებით იგი თარგმნიდა ოსურ ენაზე სასულიერო წიგნებს, რისთვისაც მან ერთ დროულათ მიიღო 350 მან. როგორც „სტოლონაჩალნიკი“, დან. ჭონქაძე იღებდა ჯამაგირს 350 მან. წელიწადში, ასე რომ ახლა იგი იღებდა სულ 550 მანეთს წელიწადში ორ დაწესებულებაში სამსახურისათვის. ამნაირათ, დან. ჭონქაძე ნივთიერად შედარებით უზრუნველყოფილი შეიქნა, მაგრამ ამას შემდეგ მას ბევრი აღარ დასცალდა; ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა. გამუდმებულმა და აუტანელმა მუშაობამ ლუკმა პურის მოპოვებისათვის, ცალკე სემინარიაში, ცალკე სინოდ. კანტორის კანცელარიაში, და იმავე დროს სასულიერო წიგნების თარგმნაში ოსურ ენაზე იმავე მიზნით, რადგანაც ორივე ადგილას მცირე ჯამაგირს იღებდა ჯილდოდ, გაფაციცებით მეცადინეობამ თვით-განვითარებისათვის და მთელი დამეების თენებამ „სურამის ციხის“ წერის დროს, რადგანაც სხვა დრო მას არა ჰქონდა, სრულიად გასტეხეს წელში და უდროოდ მოშალეს სრულებით ახალგაზრდა დანიელი, რომელიც ის-ის იყო გამოვიდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე დან. ჭონქაძე გარდაიცვალა ჭლექისაგან, რომელიც იყო პირდაპირი და აუცილებელი შედეგი იმის უზომო და აუტანელი შრომისა ლუკმა პურის მოპოვებისათვის. ბ-ნი ნაცნობი-კი გაიძახის, რომ დ. ჭონქაძეს სრული უზრუნველი ცხოვრება ჰქონდაო, რომ იგი იყო შეძლებული მემამულე, იღებდა საკმარის ჯამაგირს და სიღარიბე არც-კი მოსიზმრებიაო! ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ არ ვიცით, დან. ჭონქაძე გარდა „სურამის ციხის“-ა კიდევ სხვა ნაწარმოებსაც შესძენდა ქართულ მწერლობას, თუ „სურამის ციხე“-საც აღარ დაგვიტოვებდა.

შემდეგ ბ-ნი ნაცნობი გვეუბნება, რომ დან. ჭონქაძე მისული იყო მაღალ საზოგადოებაშიო.

---

*) ხაზს აქ ყოველგან ჩვენ ვუსვამთ.

ბას შეადგენს და იმათ უსასყიდლოდ უნდა შესწორონ წიგნები.

◆ **იუსტიციის მინისტრმა** შუამდგომლობა აღძრა **ხელმწიფე იმპერატორის** წინაშე, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ მენტი-ალავერდი-ოღლის, მილიციის პრაპორშჩიკს ასტანალა-დაშდალურ, ალი-ოღლის ყასუმოვს, შამილ-ოსმან-ოღლის, ყაზახის მცხოვრებს გაჯდის და გუმბრის მაზრის მცხოვრებს ჯამიდ-ისმაილ-ოღლის, სისხლის სამართალში მიცემულთ, ეპატიოთ ყველა დღემდის ჩადენილი ბოროტ-განზრახვა. 13 ივნისს უმაღლესად შეწყნარებულ იქმნა იუსტიციის მინისტრის შუამდგომლობა.

◆ საერო განათლების მინისტრმა აცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ მან ნება დართო კავკასიის ოლქის **გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულნი** წელს შევიდნენ ოდესისა, ხარკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტებში. არ მიიღებენ წელს კავკასიელებს კიევის უნივერსიტეტში.

◆ ერთ მოსკოველ პროფესორს განუზრახავს **კავკასიაში ალკოჰოლიკებისთვის** განსაკუთრებულ სამკურნალოს დაარსება.

◆ 26 ივნისს **საქართველოს ექსარხოსი** მიდის ხაშურს, სადაც 27 ივნისს აკურთხებს ახლად აშენებულ ეკკლესიის საძირკველს, ხოლო 29 ივნისს, სუმბათოვის სადგურის მახლობლად, ექსარხოსი აკურთხებს სოფ. ახალდაბის ეკკლესიას. აქედან ექსარხოსი წავა ბორჯომ-ბაკურიანსა და ახალქალაქ—ახალციხის მაზრებში სარევიზიოდ.

◆ **ფინანსთა სამინისტრომ** გამოგზავნა კავკასიაში თავისი მოხელე თავადი კანტაკუზინი, რომელსაც მიენდო გადასახადთა ინსპექტორებისა და იმათ თანაშემწეების საქმეთა რევიზია. მასვე მიენდო საქმის წარმოების გაცნობა ტფილისის სახაზინო პალატის მეორე განყოფილებაში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა შეიმუშავა პროექტი მტკვრის პირად **სახალხო საზაფხულო აბანოების** მოწყობის შესახებ. ამ პროექტის განხორციელება გადაიდო 1905 წლისათვის.

◆ 21 ივნისს მოხდა კრება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებისა**. სხვათა შორის, კრებამ დაადგინა, ნება დართოს მოქალაქეთა გამგეობას, თავის უფლებით მისცეს ხოლმე მოწმობები იმ ყმაწვილ კაცთ, რომელთაც ჰსურთ მოქალაქეთა საზოგადოებიდან გამორიცხვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შევიდნენ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა სთხოვა გუბერნატორს, დახმარება აღმოუჩინოს **მეცნიერს ადოლფ დირს**, რომელიც სამეცნიერო აზრით ტფილისის გუბერნიის მთა-ადგილებში მიდის.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა შეატყობინა გუშინ ქალაქის მოურავს, რომ მიხეილის პროსპექტსა და სხვა ქუჩებზე, სადაც ბელგიის უსახელო საზოგადოებას ელექტრონის ტრამვაისთვის ლიანდაგი გაჰყავს, დღევანდლამდე ჰყრია რიყის ქვა, რის გამო ძლიერ ფერხდება მიმოსვლა. პოლიცმეისტერი სთხოვს მოურავს, განკარგულება მოახდინოს, რომ საზოგადოებამ ქალაქს ქუჩები გაასუფთაოს.

◆ როგორც გწერდით, ახლად დაარსებულ მებადეთა ამხანაგობას ჰსურდა მეხადეობის საზოგადოებასთან შეერთება. ეხლა ამხანაგობამ დაადგინა, მოსპოს საზოგადოებასთან ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება, რადგან ამხანაგობას აზრად კომერცია ჰქვს, ხოლო საზოგადოებას —მეცნიერება და შეერთება არ მოხერხდება.

◆ კავკასიის მსროლელთა მეორე ბატალიონის პოლკოვნიკმა კუტლოევმა მიიღო პატარა ყუთი, რომელშიაც დინამიტი აღმოჩნდა. 17 ივნისს, როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, კუტლოევს პოლიციაში განუცხადებია, რომ ამანათი ბაქოდან მივიდე, ვიღაც ვართანოვისაგანაო.

◆ ბაქო. 23 ივნისს ჩაჰყრიან საძირკველს და აკურთხებენ ამიერ კავკასიის რკინის გზის ეკლესიისას.

◆ **საბუნჩა**. 20 ივნისს, საღამოთი, სადგურზე ვიღაცამ ოთხჯერ ესროლა რევოლვერი არტემ გამბაროვს, რომელსაც ორჯერ მოხვდა. დაჭრილი ნავთის მწარმოებელთა სავადმყოფოში წაიყვანეს და ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა. იმავე დღეს იმავე სადგურზე მიმავალ მატარებლიდან გადმოხტა უბილეთო მგზავრი სარქისოვი, ვაგონებს ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა ფეხი მოსწყდა.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, ერისთავის ქუჩაზედ მცხოვრებ ქვრივის ეკატირინე პავლოვის სახლიდან ვიღაც ქურდებს 18 ივნისს მოუპარავთ 5800 მან. ნივთები: ქალის ორი ოქროს საათი, ერთი საათი კაცისა, 5 ოქროს ბეჭედი და სხვა, სულ 10,000 მანათისა. პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ქურდები: ქალები ა. სუკოვიცინისა, ქსენია შერმადინოვისა და ქრის პოპოვისა. დაკარგულ ნივთების ერთი ნაწილიც იპოვნეს.

◆ 21 ივნისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, წოდებულ კრასნაია გორკას გვერდით, თეჟავის მცხოვრებს პეტრე დოვლათოვს ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმედ დაუჭრია აზნ. პეტრე სააკაძე. პოლიციელებმა უკვე დააპატიმრეს დამნაშავე. დაჭრილი გრძნობა დაკარგული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ **ქიშლა**. 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე, როდესაც სადგურში შემოდიოდა მატარებელი № 171, ვაგონში ახტა 18 წლის ივანე რეშეტნიკოვი, მაგრამ ფეხი აუცდა, ვაგონებს ქვეშ მოჰყვა და მარჯვენა ხელი მოსწყდა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **ქურდამირი**. 19 ივნისს, როდესაც მღებავი ამბარცუმ მურადიანცი რკინის გზის სახლს ჰღებავდა, გადმოვარდა მეორე სართულიდან და ძალზე დაშავდა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 13 ივნისს, ღამე, ნაძალადევში, მუზიკალინი ქუჩაზე ვიღაც ქურდებმა გატეხეს წყლის მილის ბუდკა და წაიღეს ამ ბუტკაში მოსამსახურის ტანისამოსი—ჩოხა, ახალუხი და სხვა ნივთები. ქურდი ვერ უპოვნიათ.

◆ **ხაშური**. 19 ივნისს რკინის გზის მუშა ვარლამ ბედენაშვილი, რომელსაც რაღაც მიჰქონდა, არხში ჩავარდა და დაშავდა.

◆ ამ თვეში შემდეგი ამბები მომხდარა. ტფილისის მაზრაში: 1. მანავის საავარაკო ადგილთან სამი უცნობი თათარი თავს-დასხმია მეცხვარე კიზედიაშვილს, რომელსაც ცხვარი სდგომია; თათრებს ცხვრის მოპარვა სდომებიათ, მაგრამ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ, რადგან მეცხვარეს თოფი ჰქონებია, რომლითაც ერთი თათარი მძიმედ დაუჭრია, დანარჩენები გაქცეულან. დაჭრილი აღმოჩენილა იორო-მუღანლოს მცხოვრები ასან-ალაასაკ-ოღლი; 2. სოფ. თაქლასთან უპოვნიათ დამხრჩვალი გვამი ს. დიღმის მცხოვრების ალექსანდრე ბერიაშვილისა, ასე 18-19 წლისა; 3. სოფ. მანგლისის მცხოვრებს ფ. პოპოვს რევოლვერით სასიკვდილოდ დაუჭრია თავისივე სოფლელი ტ. შუკინი. ახალქალაქის მაზრაში: 1. სოფ. ხავეტის მცხოვრებმა ნაბი-კაბირ-ოღლიმ თოფით მოჰკლა ამავე სოფლის მცხოვრები ქალი ხოჯა-მუსტაფ-კიზი; მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ ქალის შინაურ ფრინველს ნაბი-კაბირ-ოღლის ბოსტანი გაეფუჭებინა. 2. სოფ. გარელოვკის მცხოვრებ დუხობორს ალექსი შჩუკინს წისქვილში მეხმა მოასწრო და იქვე მოჰკლა; 3. ს. გოგაშენის მცხოვრებმა გაბრიელ ნათენაძემ შეურაცხყოფა მიაყენა მოქმედებით სოფლის მამასახლისს სამსახურის დროს.

ტფილისის ქალაქის საბჭო

21 ივნისი

ამ დღეს ქალაქის საბჭომ 18 საქმემდე განიხილა. ამას წინად, პოლიცმეისტრის თხოვნით, კომისიამ დაათვალიერა ცეცხლის მქრობელ რაზმის ცხენები და 10-მდე ცხენი უვარგისი აღმოჩნდა. ამის გამო გამგეობამ სთხოვა საბჭოს გადასდოს ცხენების საყიდლად 1200 მან. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება. სახაზინო თეატრის გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, უფასოდ დაეთმოს წყალი თეატრის ბაღჩების მოსარწყავად. საბჭომ დაადგინა, დასდგას თეატრის ეზოში წყლის საზომი და ნება მისცეს გამგეს, მოსარწყავად დახარჯოს მხოლოდ 50,000 ვედრა წყალი წელიწადში. საბჭომ ნება დართო გამგეობას: შეუმციროს საიჯარო ფული გამდლიშვილს, რამდენისამე ხნით მისცეს იჯარით მიწები კურხულსა და ჟუჟიევს, თანხმად მათის თხოვნისა, შეუმციროს ვათითაძეს დასაფასებელი გადასახადი. საბჭომ მერე უარჰყო ვაჭრების თხოვნები სატრაქტირო გადასახადის დარჩენილ ფულის პატიების შესახებ და სხ. მერე საბჭომ, სხვათა შორის, მოისმინა დადგენილება სასწავლებელთა გამგე-კომისიისა ზედამხედველად ნამყოფის ს. პ. ალნიაშვილისთვის 600 მანეთ შემწეობის აღმოჩენის შესახებ. საბჭომ კენჭის ყრით მიიღო კომისიის წინადადება. კამათი გამოიწვია ტფილისის მეეტლეების საერთო თხოვნამ მიმოსვლის ნიხრის შეცვლის შესახებ. ბოლოს საბჭომ დაადგინა, დაავალოს გამგეობას კომისიასთან ერთად მოკრიბოს ამ საგნის შესახებ საჭირო ცნობები და შემდეგ წარუდგინოს მოხსენება საბჭოს. ხმ. მირზოევმა ამას წინად საბჭოში განცხადება შეიტანა ქალაქში ნავთის ვაჭრობის მოწყობის შესახებ. საბჭომ ამ საგნის შესახებ მოხსენების შედგენა მიანდო კომისიას. ქალაქს შარშან დეფიციტი მოუვიდა. უფროს ბუხჰალტერის ანგარიშით, დეფიციტი 27589 მანეთამდეა. ამას წინად გამგეობამ დაადგინა, რადგან წარსულ წელს აუღებელი დარჩა სხვა-და-სხვა გადასახადი, ეს დეფიციტები მაშინ შეივსოს, როცა დარჩენილი გადასახადები მოიკრიბებაო. საბჭომ მიიღო ეს დადგენილება. საბჭომ შეუცვლელად მიიღო აგრეთვე გამგეობის დადგენილება ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთა დაზღვევის შესახებ. ეს მეორე წელიწადია განსაკუთრებულ კომისიას მიენდო გამორკვევა ცეცხლის მქრობელ რაზმის გაფართოვების საკითხისა. კომისიის აზრით, უნდა იყოს ორი რაზმი, ერთი მტკვრის მარცხენა და მეორე მარჯვენა ნაპირისათვის. ერთბაშად ქალაქს ამ საქმისთვის დასჭირდება 16,000 მან., ხოლო ყოველ წლიურად 41,000 მან. საბჭომ ერთხმად უარ-ჰყო წინადადება რაზმის მოსამსახურეთა შტატის გადიდების შესახებ. უარ-ჰყო აგრეთვე წინადადება ბუხრის მწმენდელთა რაზმის შედგენის შესახებ საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ მოსამსახურეთა მოქმედებისაგან ქალაქს უფრო მეტი ზარალი აქვს, ვიდრე სარგებლობაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „კიევ. ოტკლ.“ გადმოგვცემს, 11 ივნისს კიევის სასულიერო სემინარიაში შემდეგი ამბავი მოხდა. ამ დღეს, ეგზამენების გათავების გამო, გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ, როდესაც სემინარიის ინსპექტორმა მ. არსენიმ ვესტიბიულის წინ გაიარა, მეექვსე კლასის მოსწავლემ იოაკიმ იასინსკიმ რევოლვერი ესროლა. მ. არსენი, რომელსაც ტყვია არ მოხვედრია, ბოძს ამოეფარა, რის გამო არც მეორედ გასროლილი ტყვია მოჰხვდა. მალე შეიკრიბნენ მოსამსახურენი, მოსწავლენი და ინსპექტორის თანაშემწე ჩეხოვსკი, განიზრახეს იასინსკისთვის რევოლვერის წართმევა, მაგრამ იასინსკიმ კიდევ გაისროლა რევოლვერი და მძიმედ დაიჭრა თავი. ამ ჟამად საშიშოდ დაჭრილი იასინსკი საავადმყოფოში წევს.

ესეც სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც დ. ჭონქაძე არც შთამომავლობით და არც მიმართულებით მაღალ საზოგადოებას არ ეკუთვნოდა და ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი ამ წრის ხალხს გაურბოდა. გარდა ამისა, არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ სწორედ ეს მაღალი საზოგადოება იყო, რომელიც „სურამის ციხის“ ავტორს მოსაკლავად დაეძებდა, და მხოლოდ უდროოდ სიკვდილმა გადაარჩინა იგი ამ საშინელ ხიფათს.

რაც შეეხება იმას, რომ დან. ჭონქაძეს მდიდარი ნათესავები ჰყავდა, რომლებიც, ბ-ნ ნაცნობის სიტყვით, მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ, ესეც მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. ბ-ნ იოსებ ინდუაშვილის ნათქვამიდან, რომელიც იყო დანიელის მახლობელი მეგობარი, ჩვენ ვიცით, სხვათა შორის, რომ, როცა დანიელი გარდაიცვალა, მისი ნათესავები და მეგობრები იძულებულნი იყვნენ დაეგირავნათ მისივე ნივთები, რომ იგი დაესაფლავებიათ და, აი, ასეთ კაცს უწოდებს ბ-ნი ნაცნობი სრულიად უზრუნველ ყოფილს. ეს მწარე დაცინვაა.—შევნიშნავთ აქვე, რომ ვისაც დან. ჭონქაძის ცხოვრება და მისი დრო აინტერესებს, იგი ყოველსავე ამას იპოვნის ჩემ წიგნში, რომელიც ახლა იბეჭდება და ჩქარა გამოვა ამ სათაურით: „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“.

დასასრულ არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად სამწუხარო გარემოება. ჩვენ საზოგადოთ ნაკლებათ ვიცნობთ არა თუ ჩვენ წარსულ ცხოვრებას, არამედ ისიც კი არ ვიცით ცოტაოდენი დანამდვილებით, რაც ამ 40—50 წლის წინეთ ხდებოდა. ჩვენ თითქმის სურვილიც არა გვაქვს სხვას გავუზიაროთ ის, რაც ჩვენ ვიცით ჩვენს თანამედროვე მოღვაწეებზე,—თითქო ეს თავისი თავის დამცირებას ნიშნავდეს. არასოდეს არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა. როცა ამ რამდენისამე წლის წინათ დან. ჭონქაძეზე ცნობებს ვკრებდი, სხვათა შორის, მივმართე პატივცემულ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც, ჩემის აზრით, უეჭველათ უნდა სცოდნოდა რამე მის შესახებ. პასუხად პატივცემულმა პედაგოგმა ჯერ უარჰყო დან. ჭონქაძის მნიშვნელობა და თვით დანიელი უდიერად მოიხსენია და შემდეგ გამოაცხადა, რომ მან ჭონქაძის შესახებ არაფერი არ იცის. ასეთმა პასუხმა ჩემზე საშინელი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და მაშინვე გადავწყვიტე არც ერთ ჩვენი „გამოჩენილი“ მოღვაწისათვის ამის შესახებ აღარ მიმემართა. ადამიანი უცოდველი არ არის, და მეც საქვეყნოთ ვაცხადებ ჩემ ცოდვას, რომ მე დღესაც არ მჯერა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის უარის თქმა, რომ მან დან. ჭონქაძეზე ვითომც არაფერი არ იცოდა.

ფილიპე მახარაძე.

წერილები პარიზიდან

VII

როცა გაჭირებული კაცი ამა თუ იმ სახელმწიფოს შორიდან უყურებს, მისის წესწყობილებას დაახლოვებით არ იცნობს, ამ სახელმწიფოში ყოველივე იდეალურად ეჩვენება მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არ გახლავსთ. ვის არ მოჰნატრებია საფრანგეთი, მისთა შვილთა მეცადინეობის მიერ შექმნილი ურთიერთობა. გარნა საკმარისია იმავე საფრანგეთის ცხოვრებას ახლოდან დააკვირდეთ, კარგად დაუშინჯოთ კბილი, რომ თქვენს აღფრთოვანებას ფრთა შეეკვეცოს. კაცი რამდენად თვითონ არის შორს ბედნიერებაზე, იმდენად დიდად ეჩვენება სხვისი ბედნიერება. ისე კი მარად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ცოდვილ ქვეყანაზე ყოველივე, ბედნიერებაც და უბედურებაც შედარებითია. ხოლო თვით საფრანგეთი კი თუ სახარბიელოა გარეშესათვის, სახარბიელოა იმიტომ, რომ აქ ყოველის უფლებამოსილს გინა დაწესებულობის ყოველს ნაბიჯს, ყოველს მოქმედებას საზოგადოების კრიტიკა უდგას კრიჭაში, ბოროტ-მოქმედი აქ იმდენად კადნიერი და უზრდელი არ არის, როგორც სხვაგან. ვიმეორებთ, ადამიანი აქ ისე ადვილად არ იჩაგრება, როგორც სხვაგან. მაგრამ ძალ-მომრეობა, ძლიერისაგან უძლურის ჩაგვრა აქაც არსებობს.

ამაზე წინად საფრანგეთის ჯარში ერთი ამბავი მოხდა. და ეს ამბავი, ერთის შეხედვით, თითქო უმნიშვნელოა, გარნა დიდი პრინციპიალური ხასიათი კი აქვს. ეს ამბავი, სხვათა შორის, იმას მოწმობს, რომ საფრანგეთის ჯარიც ადამიან-მხეცებისაგან არის შემდგარი, რომ განათლებას მათს შორისაც ვერ მოუსპია ველურობის ინსტიქტი. განსხვავება ის არის, რომ ასეთის ინსტინქტისათვის აქ აფიცრები დაისაჯა და დაჩაგრულს ჯარისკაცს კანონმა და სამართალმა ვითომც ქომაგობა გაუწია. ხოლო სხვაგან, აზრადაც კი არავის მოუვიდოდა ჯარის-კაცის გამოსარჩლება.

ერთმა გაფიცხებულმა კაპიტანმა ბლანშარმა თავისს ხელქვეითს ჯარისკაცს ანულენს უბოდიშოდ სილა გააწნა ყურიმალში. ბლანშარი ისეთი ღონიერი გამოდგა, რომ ჯარის კაცი იქვე ჩაიკეცა და ბავშვსავით ტირილი დაიწყო. ჯარის-კაცმა სამხედრო წესით იჩივლა, ე. ი. კაპიტანის უფროსსა სთხოვა სამართალი, მაგრამ კაპიტანმა და მისმა უფროსმა საქმე ჩაათუჩუჩეს. პოლკის უფროსმა ასეთი ქაღალდიც-კი დაწერინა ჯარისკაცს ანულენს: კაპიტანს ჩემი დარტყმა კი არ უნდოდა, არამედ უნდოდა ჩემის ბოხჩისაკენ მოეტრიალებინეო. ყველას ეგონა, საქმე მიყუჩდაო, მაგრამ როგორღაც გაზეთებს ჩაეწვდათ ყურში ეს ამბავი და გაახმაინეს. საქმეში სამხედრო მინისტრი ჩაერია, დანიშნა გამოძიება და აღმოჩნდა, რომ კაპიტანს ბლანშარს მართლა შეურაცხყოფია საქმით თავისი ხელქვეითი ჯარისკაცი. წარსულ მარტში კაპიტანი ბლანშარი სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგა.

ჩვენების ჩამორთმევის დროს თავმჯდომარემ ჯარის-კაცსა ჰკითხა: რატომ იჩივლეო? ანულენმაც სრულიად გულუბრყვილოდ უპასუხა: ჩემი სახელი მინდოდა დამეცვაო. გაკვირვებულმა პოლკოვნიკმა თავმჯდომარემ თავი ვეღარ შეიმაგრა:

— ე სახელის გრძნობა სად გიპოვნიათ?!

ე. ი. უფრო გასაგების ენით რო ვილაპარაკოთ, ასე უნდა გავიგოთ ბ-ნ თავმჯდომარის კითხვა: ჯარის კაცს, მდიდს, უმნიშვნელო არსებას, როცა კაპიტანი გაარტყამს, უნდა უხაროდეს, თუნდაც ეს გარტყმა თვალებზე ცრემლის მომგვრელი იყოს, თავი ბედნიერად უნდა მიაჩნდეს, რადგან უფროსის ბედნიერი ხელი მისს ბინძურსა და უღირსს ლოყებს შეეხო. ჯარის-კაც ანულენის გამსამართლებელის კითხვა სრულებით დამახასიათებელია იმ წოდებისა, რომელსაც ის ეკუთვნის. მისის აზრით კაცობრიობა წარმოადგენს ორს სამხედრო ბანაკს: ერთშია უფროსები, მეორეში— ჯარის-კაცები. პირველთ უნდა უბრძანონ, მეორეთ ეს ბრძანება უდრტვინველად აასრულონ; პირველთ აქვსთ უფლება ბრძანონ, მეორეთ უფლება აქვსთ — ბრძანება აასრულონ.

სასამართლომ კაპიტანი ბლანშარი დამნაშავედ იცნო, მაგრამ ამასთანვე პატივი დასდო ყოველ გარემოებას, რომელსაც-კი მისი სასჯელის შემსუბუქება შეეძლო, და მიუსაჯა 20 დღე ციხეში ჯდომა.

იმავე ფრანგულ კანონის ძალით ჯარის-კაცს ჩამოახრჩობდნენ, თუ დაუმტკიცდებოდა საქმით უფროსის შეურაცხყოფა. კანონი არ ივიწყებს არც ერთს საჯელის შემამსუბუქებელს გარემოებას აფიცრისათვის, მაგრამ იგივე კანონი თვალებზე ხელს იფარებს, ყურებში ბამბის ძველას იცობს, პირში წყალს იგუბებს, როცა საქმე ჯარის-კაცის სვე ბედს ეხება. ფრანგულ კანონმდებლობაში აღნიშნულია ის შემთხვევა, როცა აფიცერს შეუძლია სცემოს სალდათი (კანონიერი თავის დაცვა, გაქცეულის დაჭერა, აღკრძალვა ვისიმე ქონების განადგურებისა) და ხმა—კრინტი არ არის დაძრული, თუ ჯარის-კაცს როდის აქვს უფლება საქმითვე მოსთხოვოს პასუხი შეურაცხმყოფელ აფიცერს. ესეც თქვენი ძმობისა და თანასწორობის ქვეყანა

მართლა რომ სასიკვდილ-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა კომბის სამინისტრომ კლერიკალიზმს. ერთს ჩვენს წერილში მკითხველს გავუზიარეთ, თუ როგორ მოექცა ის საფრანგეთში მყოფ კონგრეგანისტებს. ახლა ის ამხედრდა სარწმუნოების ემბლემებზე. როგორებიცაა ჯვარცმები და წმ. სურათები. პარლამენტმა მარტში გადასწყვიტა სასამართლოებიდან გატანილ იქმნეს ყველა სარწმუნოებრივი ემბლემანი, იუსტიციის მინისტრმა ბ-ნმა ვალემ საფრანგეთის სასამართლოებს ცირკულიარი გაუგზავნა, ზემოაღნიშნული ნივთები დაუყოვნებლივ გაიტანეთო.

თ. ს.

◆ ტომსკის სამაზრო სამხედრო უფროსმა ციმბირის კორპუსის ჯართა უფროსისაგან ბრძანება მიიღო, გაიწვიოს სამხედრო სამსახურში ის ექიმები, რომელნიც პირველ და მეორე ხარისხის „ოპოლჩენიის რატკინებად“ ირიცხებიან.

წერილები

სოფ. კავთისხევი (ქართლი). სოფ. კავთისხევში 500—600 კომლზე მეტია, საზოგადოებაც მისი მრავალფეროვანია. თავადებიც გვყავნან, აზნაურებს ხომ თვლა არა აქვთ, მათთან ოთხი მღვდელია, მასწავლებელი, ვაჭრების უსტაბაში, მამასახლისი, მწერალი, დიაკვნები თავიანთ დავითნებით, მიკიტნები, ბაზაზები, მეწვრიმალეები და მრავალი სხვა დოვლათი და სიკეთე. გვყავს აგრეთვე რამდენიმე „ცილინდროსანი„ და „შლიაპოსანიც“. ყველა ეს ზემოხსენებული პირნი შეადგენენ კავთისხევის „ინტელიგენციას“, თანახმად მათის სურვილისა. სხვას ყველაფერს რომ ფარდა ჩამოვაფაროთ მთელ სოფელში, საცა მჭედელი და მეჯღანეც-კი „ინტელიგენტობენ“, ოთხი ცალი გაზეთი მოდის. ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო; ისე ჩვენ მოგვდის, ოთხი ცალი გაზეთის გამოწერა ამოდენა სოფელში არაც-თუ საკმაოდ, სატრაბახოდაც მიგვაჩნია, იმას-კი აღარ ვფიქრობთ, რომ ცხრა ძმას თუ ცხრა უღელი ხარიდან თითო უღელი შეხვდებოდა, ჩვენ ცხრაჯერ ცხრა კაცს ერთი გაზეთიც არ გვერგება. ამას წინად ერთ გაზეთში დიდის სიხარულით სწერდნენ, მადლობა ღმერთს, კავთისხევში ვაჭრობა გაძლიერდაო. მართალი ბძანებაა. აქამდის თუ ერთი სამიკიტნო იყო, ეხლა ერთ უბანში, ერთი-ერთმანეთის პირისპირ სამი გახლავთ, მაშასადამე, წინად თუ გაბრიყვდებოდა გლეხი და შევიდოდა სამიკიტნოში ღვინის ან არყის დასალევად, დალევდა პირველს ერთ ჩარექს, მეორეს— ერთ ჰიქას და მიჰხედავდა თავის საქმეს, ეხლა-კი სულ სხვაა—უსათუოდ სამივესთან უნდა შევიდეს, თორემ ეწყინებათ მიკიტნებს და როცა გაუჭირდება, ხელს ველარაფრით გაიმართავს იმათგან. აი, დალია წურიამ ჭიქა არაყი და ჩარექი ღვინო ზაქოს სამიკიტნოში, გამოვიდა, მაგრამ შეხედეთ, როგორ უბჟვერის არტო! მეტი გზა არ არის, შევიდა იმასთანაც, მოითხოვა ჩარექი, ამასაც მორჩა, მაგრამ კარგად-კი შეუტიპინდა თავში. არა, ფიქრობს, ქუცნას ეწყინება, პირველად რომ იქ არ შევედიო. მიდის ქუცნასთანაც და უკვე „ხელადას“ თხოულობს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, ჩემო მკითხველო, როგორც მოიქცევა გალექშული წურია, კამეჩი ბუზად აღარ მიაჩნია და რაღას დაზოგავს, უკანასკნელი გროშიც-კი აღარ ჩარჩება მის დაფხავებულ და თაგვებისაგან გამოხრულ ჯიბეში. მიკიტნებს გარდა მეწვრიმალეები და ბაზაზებიც ბევრნი არიან, ებრაელნიც ბლომადა გვყავნან, მაგრამ რა გამოვიდა, ყველაფერი დამპალი და ძვირი აქვთ.

ჩვენსკენ ამინდები ძალიან ცუდია, ყოველი იმედი გაგვიცრუვდა, არაფრის რიგიან მოსავალს არ ველით. მოაგარაკებიც აღარ გვეწვევიან, ღამის რაინდები გამრავლდნენ.

ნ—ი

სოფ. სტეფანწმინდა (ხევი). 13 ივნისს ადგილობრივ სტეფანწმიდის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. განსვენებულს ჩვენში (ხევში) ყველა კარგად იცნობდა, როგორც მწერალს, მშვიდ და პატიოსან ხასიათის პატრონს. ხევში ბევრჯელ ყოფილა ხალხურ ლექსებისა და ზღაპრების შესაკრებლად. ბევრი ძალიან დაახლოვებული ნაცნობი იყო განსვენებულისა და ერთმანეთში მიწერ-მოწერა ჰქონდათ. მოხევეები განსვენებულს ძლიერ უყვარდა და მოხევეებსაც დიდი ნდობა და სიყვარული ჰქონდათ განსვენებულ პ. უმიკაშვილისა. ვისაც-კი რამ სასამართლოდ საქმე გაუხდებოდა ქალაქში, ყველა მიჰმართავდა ხოლმე განსვენებულს რჩევა-დარიგების მისაღებად. როცა ჩვენმა ხალხმა გაიგო პეტრე უმიკაშვილის გადაცვალება, ყველას დიდად ეწყინა, არა მარტო როგორც უბრალო ნაცნობისა, არამედ როგორც მომხმარე და კეთილის მყოფლისა.

ს. შადური

სოფ. ქვიშანჩალა (სამეგრელო). ძალიან ცუდი გაზაფხული იყო წელს. ცხელმა დღეებმა მთლად გაანადგურა ხეხილი და ჭირნახული. წელს ჩვენსკენ თუ ცოტა წვიმა არ მოვიდა, საეჭვოა, რომ ჭირნახულის მოსავალმა ივარგოს. აბრეშუმის მოსავალი წარსულ წლებთან შედარებით ორ წილად მეტია. ოჯახი არ არის იმისთანა, რომ თითო კოლოფი თესლი მაინც არა ჰქონოდა. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ აქაურმა ჩარჩებმა მეტად მცირე ფასი დაადეს პარკს. შარშან რომ ფუთი პარკი ოც ან თვრამეტ მანეთად იყიდებოდა, წელს ათ მანეთსაც აღარ იძლევიან. ომის მეოხებით ჩვენებურები ძალიან ეტანებიან გაზეთების კითხვას. გაზეთის ფურცლები ერთი სოფლიდან მეორე სოფელშიაც მიაქვთ ხალხში საკითხად და დიდს ყურადღებასაც აქცევენ ომის ამბებს.

ა. გ.

სოფ. ლიხაური (გურია.) წელს კარგი გაზაფხული იყო ჩვენში. მინდვრის სამუშაოს ხალისიანად ეკიდებიან მუშები. ნათესს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს: ახხია ადესას, ვენახს, ვაშლს და თხილს. წელს თითქმის ყველამ მიჰყო ხელი აბრეშუმის მოშენებას. უმეტესმა ნაწილმა შეუმოწმებული თესლი შეიძინა და ამიტომ დაზარალდა. ჩვენს სოფელში საოცარი ფასი დაედო თუთის ფოთოლს. წინად ერთ ფუთ ფოთოლში მანეთსა და ექვს აბაზს თხოულობდნენ, დღეს თუმანიც რომ მისცეთ ერთ ძირ თუთაში, ვერსად იშოვნით. ჩემი თვალით ვნახე, რომ ერთ ძირ თუთაში რვა მანეთი აძლია მეაბრეშუმემ. რა ეშველებოდათ ჩვენს მეაბრეშუმეებს, რომ სანახევროდ უვარგისი თესლი არ გამომდგარიყო. წელს კარგი ჯიშის აბრეშუმის თესლი პატრონებმა უვარგის თესლის პატრონებისაგან იყიდეს თუთის ფოთლები. ლიხაურელებს საკმაოდ ექმნებოდათ აბრეშუმის ჭიის საკვები, რომ გარშემო სოფლებისთვის არ მიეყიდათ. მოდიოდნენ ათი-თორმეტი ვერსის მანძილიდან და მიჰქონდათ ფოთოლი.

ს. გ—ძე.

ღამის დეპეშები

22 ივნისი

მუკდენი. მართლდება მუკდენის საავადმყოფოებში მყოფ დაჭრილთა ნალაპარაკევი იმის შესახებ, რომ იაპონელნი საზიზღრად ექცევიან ჩვენ დაჭრილებს. მსროლელთა პირველ პოლკის იმ ოთხ გვამის გასინჯვის დროს, რომელნიც 29 მაისს ბრძოლის შემდეგ (ეს ბრძოლა მოხდა სოფლებს ლიუდიაგოუსა და ლიდიატუნს შუა) მოიტანეს, ერთ გვამს აღმოაჩნდა 26. მეორეს 18 ჭრილობა ხიშტისაგან. ჭრილობები სხეულის სხვა-და-სხვა ადგილას იყო. მესამე გვამს ორი ჭრილობა აქვს ხიშტისა. ეტყობა სიცოცხლითვე დაუჭრიათ. ყველა ამის შესახებ ოქმი შესდგა.

21 ივნისი

კოპენჰაგენი. გემს „ნორიე“-ზე იყო 644 მგზავრი; აქედან 79 დანიელი, 68 შვედიელი, 296 ნორვეგიელი, 14 ფინლიანდელი და 236 რუსი.

ლიტჩფილდი (ილინოისის შტატი ამერიკაში). („რეიტ. სააგ “). ლიანდაგიდან გადავარდა მსწრაფლმავალი მატარებელი, ჩიკაგოდან სანლუიში მიმავალი. ორთქლმავლიდან ცეცხლი წაეკიდა ვაგონებს. მოკვდა 20 კაცი.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). დანიელთა გემი „ნორიე“, რომელზედაც იყო 80 გემის მოსამსახურე და 700 გადასახლებული დანიასა, ნორვეგიასა და ფინლიანდიიდან, დაიღუპა როკჰოლის კლდესთან, გებრიდის კუნძულების დასავლეთით, 200 მილის მანძილზე. დაიღუპა 700 კაცი.

თავრიზი. ხოლერა თეირანიდან გაჩნდა. ყოველ დღე 150 კაცამდე კვდება. თავრიზში მცხოვრებნი ინგლისელნი ქალაქიდან ადერბეიჯანის ჩრდილოეთით მიდიან—ნათესობს ძალიან დაზარალდა კალიისაგან. სიმართლეს მოკლებულია ხმები შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებისა, ორის პრინცის გაქცევისა და ბაბისტთა დაპატიმრების შესახებ.

22 ივნისი

პეტერბურგი. 21 ივნისს ცარსკოე სელოში უმაღლესის თანადასწრებით გაიმართა პარადი მისის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის კირასირთა პოლკისა.

ვენა. გარდაიცვალა გერცლი, სიონისტთა მოძრაობის დამაარსებელი.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). საზოგადოებათა პალატა. შეკითხვის საპასუხოდ როდრიგმა განაცხადა, რომ ტიბეტში ზავი ტიბეტელების შუამდგომლობით განვაგრძეთო. პოლკოვნიკმა იონგჰესბანდმა მიიღო ერთი ლამა და ლხასის სამ მონასტრის წარმომადგენელი. ცნობილი არ არის, დაევალა თუ არა ამ ლამას ხელშეკრულების დადება ინგლისის ექსპედიციის უფროსთან, ხოლო თუ დავალებული აქვს, პოლკოვნიკ იონგჰესბანდსაც უფლება აქვს მოლაპარაკება გამართოს იმასთან.

22 ივნისი.

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი შტალმეისტერის გენერალ-ლეიტანანტის თავად ივანე ობოლენსკის სახელობაზე: „თავადო ივანე მიხეილის ძევ! დიდი სამთავრო ფინლიანდიის რუსეთთან შემოერთების დღიდან ადგილობრივ მართვა-გამგეობასა და კანონმდებლობაში სარგებლობდა განსაკუთრებულის წეობილებით. მე მრწამს, რომ ეს წყობილება, რომელიც შეეფერება ფინლიანდიის ადგილობრივ პირობებს, შეიძლება დატოვებულ იქნას მერმისისშიაც ფინლიანდიის საკეთილოდ. მრწამს ისიც, რომ საზიზღარი ბოროტ-მოქმედება, რომელმაც ამას წინად იჩინა თავი, საქმეა უგუნურისა და იმის მცირეოდენ თანამგრძნობლებისა, რომელთა დანაშაულობაში ფინლიანდიის ხალხს წილი არ უდევს. ზრუნვა იმისთვის, რომ ფინლიანდია მჭიდროდ შეუერთდეს რუსეთს, ყოველთვის უმთავრესი საქმე იყო მთავრობისა. ასევე იქნება შემდეგშიაც. ამ მიზნის თან-და-თან განხორციელება დავალებული ჰქონდა ჩემგან ფინლიანდიის განსვენებულ გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ადიუტანტს ბობრიკოვს. გონიერის სიტყვით ასრულებდა განსვენებული სახელმწიფო მოღვაწე ნაკისრ მოვალეობას იმ დრომდე,ვიდრე უდროო სიკვდილმა ბოლო არ მოუღო იმის თავგ ადადებულ სამსახურს. ამ სამსახურმა მოუპოვა განსვენებულს საპატიო სახელი ჩრდილოეთისკენ რუსეთის უფლების დამკვიდრების მატიანეში. საკეთილოდ ვცანით რა მოგიწვიოთ თქვენ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე, იმედი მაქვს თქვენის ერთგულებისა და ნიჭისა, რომ მტკიცედ აასრულებთ ყველა ჩემ განზრახვას. განსაკუთრებულად გნდობთ ფინლიანდიის ხალხის შორის განამტკიცოთ ის რწმენა, რომ ისტორიულად ბედი ამ ხალხისა მტკიცედ არის შეკავშირებული რუსეთის ბედთან და რომ ფინლიანდიისა და აქაურ დაწესებულებათა წარმატება დამოკიდებულია ცხოვრების მშვიდობიან მსვლელობაზე. მუდამ თქვენი კეთილის მასურნე.“ ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოოზი“. პეტერგოფი, 17 ივნისი 1904 წელი“.

შინაგან საქმეთა მინისტრთან მყოფი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ობოლენსკი უმაღლესად დაინიშნა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 18 ივნისი

ვექსილის კურსი 18 ივნით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35	
ლონდონისაზე ჩეკები	94,50	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,52 $^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	6-7 $^1/_2$ %	
4% სახელმწიფო რენტა	92	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4 $^1/_2$ % შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	294	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	258	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4 $^1/_2$ % ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	88 $^1/_2$	„
4 $^1/_2$ % გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87 $^1/_4$	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	190	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 8 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამ 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დი 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დი 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუ დღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრ მჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭ არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსას ლებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთ 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის 5—12 ს. საღ. (88—52—

წყალით მხერხავი ქარხანა

ვეძებ მსურველს თავისი ხე-ტყე ვუხერხო იაფ ფ სათ. ან ამხანაგათ, ან იჯარით ან სულ მივყიდ სადგური სუმბათოვი **ჯიქაევი**. (3—237—



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფ ვისა, № 92, საზაფხულო სა ნის ახლოს. (წ.—176—16)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობ პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფ რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგი ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მიკრ ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრო კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გარ დებ სენით და სულით ავადმყოფებს სა კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვ და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდ ნათა კურსები

ტფ. საკომერციო სასწავლებელთან

(მეხუთე წელიწადი)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, ს კომეციო არითმეტიკას, საკომერციო კორ სპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობა სწავლა დაიწყება **1904 წ. 15 სექტემბრიდა** კურსები არა ნაკლებ **6** თვისა გაგრძელდებ სწავლება საღამოობით, კვირაში სამჯერ კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენ ორივე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორ -ახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუ დღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელ რიაში. (5—

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩე სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—48)

პატივისცემით ბ. გ. ბერიევ